

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
 რაჯოვის სახლში.
 წილის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
 ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე
 მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дრობა»
 ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
 6 მ., 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ., 50 კ.; 4 თვით—4
 მ., 8 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული-ფურცელი-გვერ-
 დი 25 მანათი; პირველი 50 მან. რედაქცია-სტრიქონზე
 ბისა ითვლება მთვან დაქვრივად სტრიქონზე
 ლობაზედ.
 თუ საქმიანობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს
 და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
 დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
 ავტორს.
 „Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за
 границы принимаются только въ цент. конторѣ
 объявл. Л. Медвль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეატი.

ბამონდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

მიიღება სელინ-მოწერა კაპეატი „დროების“ 1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
 წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
 ტომაშვილთან; გორში — ალალო თეთაევთან.
 სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
 ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

თბილისის საზღვარსაღარო თაბაჩი.
 იანვრის 28-ს.
 წმინდა ნინოს საქალებო სკოლის
 სასარგებლოდ სტენის მოყვარეთაგან
 წარმოადგენილი იქნება რუსულად:
 I
კამჩინსკის მოწილი
 პომეღია სამს მოქმედებად თხზ. სუ-
 როვო-ძობილიანსა.
 II
 შესაძვე შაქმელება, ა. ცაგარლის
 დროაზღვან
მათიკო
 III
ღივარტისკმპი
 წარმოადგენილი იქნება შრ. სალაგუ-
 ბის ლექსებიდან სურათები. ბანი პა-
 ჩინი წაიკითხავს „ალბვერდის“ და
 ითამაშებენ
ლმკპრს
 ბამოჩენილი მალეკურენი თ. შა-
 რალა მეილი, სიდ- მარსთაფი და სხვ.
 ბილეთები იხყიდება კენა ბარბარე
 ბარათაშვილისას (საკუთარ სახლში) და
 თეატრის კასაში.
 დასწყისა საღამოს 8 საათზე.

მთი კვირა უახლოეთში
 თბილისი, იანვრის 26-ს.
 მსლანდელ საფრანგეთის სამინის-
 როს ორგანად ითვლება ვაჰ. Temps-ი,
 რომელიც, უეჭველია, არ მოინდო-
 მებს თავის მფარველებს და მცირებს
 და, თუკი მოსახერხებელია როგორც,
 ყოველსავე მათს მოქმედებასა და გან-
 კარგულებას შესაფერსა და ჯეროვანს
 უწოდებს. მაგრამ ეს გაზეთი ცკი ჰგო-
 დებს იმ მდგომარეობაზედ, რა მდგო-
 მარეობაშია არის ჩავარდნილი საფ-
 რანგეთის ჯარი შორეულ აღმოსავ-
 ლეთის ქვეყნებში. ჩინეთი შორეულ
 გადაიქცა. რომელიც იტყუებს საფ-
 რანგეთის ჯარს და ეს უკანასკნელიც,
 რაკი ფებს ვერსად მაგრად ვერ იკი-
 დებს, უფრო და უფრო სასაწარკვე-
 თილებას ეძლევა.
 მართლა რომ სანატრელი არ არის
 ჭრანცუზების მდგომარეობა ჩინეთში
 და მის გარემო ქვეყნებში. მართლ
 ერთ გამარჯვებად ღღმდის ის მიან-
 დათ, რომ ძლიერს საბუთად დაიბუ-

რეს მდიდარი კუნძული ჩორმოზა და
 მის ხელიდამ ვაშვებას იმ დრომდე არ
 აპრობდენ, ვიდრე ჩინეთი ქელს არ
 მოიხრიდა და უმდაბლესად შერიგებას
 არ მოითხოვდა. მაგრამ ჩინეთს ქელის-
 მოღრეკამდე ჯერ საქმე არ გასჭირე-
 ბია, რადგან, თუმცა კუნძული ჭრან-
 ცუზებისაგან არის დაქვრილი, მაგრამ
 ჩინელები თავისუფლად მიდი-მოდიან
 და ჭრანცუზების ჯავშნაი ხომალ-
 დებცი ვერ აბრკოლებდენ მათ, რომ
 მოთხოვნებისამებრ მიაწოდონ თა-
 ვიანთ მოძმეებს როგორც სურსათი,
 ისე საომარი იარაღი. მართალია იან-
 რის ღამდევს ჭრანცუზებს ძელუნგ-
 თან, რომელიც ჩორმოზაზედ მდება-
 რებს, რამდენიმე სიმაგრე აუღიათ,
 მართალია, მაღე დაუმშვიდებიათ ის
 ჯვანყებაც, რომელიც ერთ-ერთს
 მათს კოლონია-სამბოჯაში მომხდარა;
 მართალია, ისიც რომ საბოლოოდ,
 უეჭველია, გამარჯვებულები ჭრანცუ-
 ზები გამოვიდენ, მაგრამ ესეც მართა-
 ლია, რომ ამ უმაგალითო ომით,
 რომელიც ჯერ კიდევ გამოცხადებუ-
 ლი არ არის, ჭრანცუზებს ცოტათიც
 არის მოაკრძებიათ ძალა და გაუტყდ-
 ბათ ის სახელი, რომელიც აღმოსავ-
 ლეთში მოხვეჭილი ჰქონდათ.
 * * *
 წარსულს შიმოხილვაში ჩვენ მივაქ-
 ციეთ მკითხველების ყურადღება იმ
 პირობაზედ, რომლითაც იკვირან რუ-
 სეთი და კრუსია შესახებ ბოროტ-
 მოქმედთა გაცემისა. ამ ნამდვილმა
 ხმამ თან ქორიც გამოიწვია და ზოგი

გაზეთები ამტკიცებდენ, ვითომ პესტ-
 რია და რუსეთიც აპრობდენ ამავე
 პირობის დადებას ერთმანეთ-შორის.
 მაგრამ ამ დღეებში არა თუ პესტრიის
 სამინისტროს ოფიციალურმა ორგანმა
 პირდაპირ გაამტყუნა ეს ხმები, არამედ
 ამ ქვეყანაში თითქმის მთელი საზოგა-
 დლება იმ აზრს დადგა, რომ კრუსი-
 საგან მიღებული ღონისძიება სიყუთეს
 არას მოიტანს და ვერ მოსპობს მო-
 ღინამიტეთა თავგასულობას. პესტრიის
 ჯერ-ჯერობითა სურს სკადოს პარლა-
 მენტური ღონისძიება ანარხისტების
 წინააღმდეგ და თუ შინაურმა საშუა-
 ლებამ არ გასჭრა, მაშინ იქნება ესეც
 ისტორიული შეიქმნეს გარეშე სახელ-
 მწიფობთან დაკავშირებით ებრძოლოს
 საერთო მტერსა.
 * * *
 საზოგადოების ყაყანს ანარხისტე-
 ბისა და მოღინამიტეთა წინააღმდეგ
 მკვიდრი საფუძველი ეძლევა...
 ლონდონში და სხვა ადგილებში
 მომხდარ აფეთქებათ რომ თავი დაგა-
 ნებოთ, გავიხსენოთ თუნდ ის, რომ
 შვეიცარიის საკავშირო რჩევას მოსე-
 ლო მუქარა მოღინამიტეთაგან რჩევის
 სასახლის აფეთქებისა, მსეთი გაურ-
 ჩველობა ღონისძიებისა და გამომე-
 ტება ამ სახელმწიფოსიც, უეჭვე-
 ლია, ზიზღს მოჰკერის იმათაც კი,
 რომელიც თუმცა იქნება გულით
 არ თანაუგრძობდენ მოღინამიტეთ,
 მაგრამ ადვილად ჰხსნიდენ მათს გა-
 ბოროტებას და თავის გამომეტე-
 ბას...
 ველარ მოვაშორე ამ გვარს საკვირ-
 ველს სახილველს. რადესაც შემამჩ-
 ნია, უეცრივ დაალაგა თმები და იწ-
 ყო ჩემსკენ მოახლოება. მაშინ საუ-
 ლოდ დავარგე გონება.
 — რას გუებნებოდა იგი?
 — მითი სიტყვაც არ უთქვამს,
 მხოლოდ ასწია მაღლა ათივე თავის
 თითი და ამით მაჩვენებდა, თანახმა
 გავუბნებდი, თუ არა შეუღლებობის
 ცხოვრებაზე ათის წლის განმავლობა-
 ში.
 — შენ, რასაკვირველია, უთანხ-
 მოებას გამოუტყუებდი?
 — ღიად, მე უარის-ყოფის ნიშნად
 თავი გაუუქნიე, მაგრამ იგი არ დასცხრა
 და ჩამოდიდა ათის წლიდამ ცხრამ-
 დე, რამდე და სხვ. დასასრულ, რო-
 დესაც მაჩვენა ნეკი, როგორც
 უკანასკნელი ნიშანი იმისი, თანახმა
 გავუბნებდი თუ არა ერთს წელს მანც
 მასთან ცხოვრებას, მაშინ ისეთის სა-
 შინელი თვალებით შემომხედა, რომ
 მასვე წამს თანახმა გავუტყუებდი.
 — მლახა საქმეა, ძმაო, გლახა,
 მაგრამ კიდევ კარგი, რომ დაქორწი-

«დროების» ჭეღვანე, იანვრ. 26-ს
 * * *
 როს სევა გულედ
 შემომხევე
 და დაფიქრებით ვუყურებ მთვარეს,
 შიქრი მიმარხენს
 შორს ამა მხრიდან
 ჩემსა საყვარელს სამშობლო მხარეს;
 *
 იქ დავინახე
 ჩემსა სატრფოსა,
 ჩემსა მეგობარს და ამხანაგებს,
 ხაბრლო დედას
 დაღონებულსა
 და მისსა საღამოს აქაიქ ნახგრევს.
 *
 ძენესით, კანკალით
 მოხუცებული
 მოსთქვამს ამ სიტყვებს ცრემლითა მწა-
 რით:
 „შეიღონო ორგულნო,
 თქვენსა უჩრობას
 მე უბედური რად მომასწარიო?
 *
 ბულ-კეთილობით
 ზნით და თვისებით
 თქვენს მამა-პაპათ არ გაასწარიო,

თქვენის მხევაობით
 არ მანუგემეთ
 და თქვენის ხელით მიწას არ მფალიო!“
 *
 ამა ოცნებით
 ბატაცებულსა
 ბულის აღმიშფოთებს შუქი მთვარისა,
 სურვილი გულში
 მიცხოველდება,
 ნახვა მწყურთან იმერთ მხარისა;
 *
 მაგრამ როს მთვარე
 ჩავსვენება
 და ნათელს შესცვლის სიბნელიე შავად,
 გამოფხიზლდება,
 აზრს მოვიკრფავ,
 ამოვიოხრებ, გულის საკლავად,
 *
 რომ ეს ყოველი
 იყო ოცნება,
 ანუ სიზმარი ერთი წამისა.
 ჩენი სიცოცხლაც
 ამ გვარადვე რბის
 მით ეს ნათელი ამა ღამისა.
 *
 კენა ნინო ორბელიანისა.
 თქვამბრის 20-ს.
 1884 წ.

მხრობაკაჩიული წერილები
 აფხაზეთი
 (წერილი მეშვიდე *).
 ძლიერ ხშირად გაიგონებთ აფხა-
 ზისაგან ამ გვარს საუბარს:
 — მხ! ძმაო, — ეუბნება ერთი აფ-
 ხაზი მეორეს: მე მძლია „წყლის-დე-
 დამ“ და ამიერიდგან თქვენს საზო-
 გადოებას აღარ ვეკუთვნი.
 — როგორ?
 — ამ დღეებში შევედი ცხენით გა-
 უფელ და ყაუ ტყეში, სადაც უც-
 ბად ერთს დიდს მუხასთან დავინახე
 დადგმული სტოლი; სტოლზედ იდგა
 სარკე და სანთელი; მის წინ იჯდა
 „წყლის-დედა“, ეტრფიალებოდა თა-
 ვის სიკვლოუცესა და იფარცხიდა გამ-
 ლილს მიწამდე ჩაშვებულს თმას.
 — რა ჰქენ მერე? მანა არ შეგეძ-
 ლო ცხენი მოგებრუნებინა და გამო-
 ქცედი იმ საშიშს დედაკას?
 — არა, ძმაო, ხელები ჩამომიკ-
 ვივდენ და დამიდუნდენ, თვალები

ველარ მოვაშორე ამ გვარს საკვირ-
 ველს სახილველს. რადესაც შემამჩ-
 ნია, უეცრივ დაალაგა თმები და იწ-
 ყო ჩემსკენ მოახლოება. მაშინ საუ-
 ლოდ დავარგე გონება.
 — რას გუებნებოდა იგი?
 — მითი სიტყვაც არ უთქვამს,
 მხოლოდ ასწია მაღლა ათივე თავის
 თითი და ამით მაჩვენებდა, თანახმა
 გავუბნებდი, თუ არა შეუღლებობის
 ცხოვრებაზე ათის წლის განმავლობა-
 ში.
 — შენ, რასაკვირველია, უთანხ-
 მოებას გამოუტყუებდი?
 — ღიად, მე უარის-ყოფის ნიშნად
 თავი გაუუქნიე, მაგრამ იგი არ დასცხრა
 და ჩამოდიდა ათის წლიდამ ცხრამ-
 დე, რამდე და სხვ. დასასრულ, რო-
 დესაც მაჩვენა ნეკი, როგორც
 უკანასკნელი ნიშანი იმისი, თანახმა
 გავუბნებდი თუ არა ერთს წელს მანც
 მასთან ცხოვრებას, მაშინ ისეთის სა-
 შინელი თვალებით შემომხედა, რომ
 მასვე წამს თანახმა გავუტყუებდი.
 — მლახა საქმეა, ძმაო, გლახა,
 მაგრამ კიდევ კარგი, რომ დაქორწი-

*) იხილე „დროება“ № 19

შეკველია, იმას უნდა მიველოდეთ, რომ ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ამ შემთხვევისათვის მაინც დაუკავშირდებიან და მაშინ, მოდინამიტენი რაც უნდა ძლიერნი იყვნენ მოწინააღმდეგენი ამ უფრო ძლიერს კავშირს ვერ გაუძლებენ.

რომ საზოგადოება ფრიად-და-ფრიად აღელვებულია ამ მოუსვენარი ცხოვრებით, რომელშიაც ჩააგდო იგი დინამიტებით აფეთქების შიშმა, ამტკიცებს თუნდა ის, რომ ამერიკაში გამოცხადებულა ახალი შარლოტა ძორდე, ერთი ინგლისელი აქტივისტი, რომელსაც გაბორტებულს რევოლუციური უსტრია მოდინამიტეთა უფროსის მღონოვან როსასთვის. მთელს ტელეგრაფმა არ იტყობინება, მაგრამ წინდაწინვე შეიძლება მივხედეთ, რომ მღონოვან როსასა და იმ ქალს შუა არავითარი პირადი დამოკიდებულება არ იქნებოდა და ესეთი შურისძიება გამოწვეულია საზოგადოებრივ-გარეობით, და შურის-მაძიებელს ხელმძღვანელად საზოგადოების აზრი ექმნებოდა.

შინაური პრინციპი

== ბუშინ, იანვრის 24-ს, მბილისში ისეთი დიდი ქურდობა მოხდა, როგორც იქნება თავის დღეში არ მომხდარიყოს ჩვენს ქალაქში. პეტრე ამბარცუმოვის მალაზიოდამ, რომელიც შადინოვის ქარვასლაშია, მოიპარეს ოცი ათასი თუმენი ბანკის ბილეთები და თამაშუქები. მურღები ჯერ ვერ უპოვნიათ, თუმცა გამოძიებას ფარულად შეუდგნენ.

== იმ გარემოების გამო, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი საზოგადოებანი სცილილობენ უმთავრეს რკინის გზას შტოცებით შეუერთან თავიანთი დაბები,

ნებული არა ხარ, თორემ იგი ძალით მოგაძულდება ცოლს.

მაგრამ ან როგორ უნდა ეთქვა უარი „წყლის-დღდასთან“ ცხოვრებაზედ, როდესაც, აფხაზების წარმოდგენით, იგი აძლევს კაცს საკვირველს ძალსა, შრავალს ფულს, ცხენებს, კამბეებს, თხებს, ცხვარსა და იცავს იმ გვარად, რომ თავის დღეში ქურდობაზედ ვერაფერს მიანწრობს. შედურობა მხოლოდ ის არის, რომ შემდგომ ვადის გათავებისა, „წყლის-დღდასთან“ შეუღლებული კაცი ხესავებ ჰხდება და ყოველთაღმი სიძულილსა ჰგარბობს.

ბოლოს მამშულ ჰეიქრობს თავის გამბედავ ამხანაგებთან ერთად აღასრულოს თავისი მხურვალე და აღტკინებული სურვილი—მოიპაროს თავის სატრფო მამა-ხანუმი. ამისათვის აღორჩევს ამხანაგებს, ათს საუკეთესო ცხენოსანს და გაეჭნება თავის მზღობლებითურთ ხშირის ტყით. ისინი ისე მკვირცხლად დაუბრკოლებლივ მი-

მაგ. დაბა ხონი, დ. სახენცე და დ. სხინვალი, უადვილოდ არ მიგვიჩნია მოვიყვანოთ ის დადგინება, რომელიც გზის სამინისტროს შეუთმუწვევია განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ. საზოგადოება დაწესებულებათა და პირთ, რომელნიც ამ გვარის შტოების გაყვანას მოისურვებენ, მმართველობის მხრით დახმარების გაუწევლად, თავიანთი პირობანი პირ-და-პირ მინისტრს უნდა წარუდგინონ. იმ შემთხვევაში კი თუ ეს დაწესებულებანი და პირნი მოითხოვენ მმართველობისაგან დახმარებასაც; მათ თავიანთი პირობანი თავ-და-პირველად აღკლობრივ გუბერნატორს უნდა წარუდგინონ და გუბერნატორი-კი, თვის მოსაზრებათა დართვით ამ შტოს სარგებლობაზე, იშუადგომლებს გზის სამინისტროს წინაშე მისს გაყვანისათვის. ამასთანავე გზის სამინისტროს წარუდგენია სახემწიფო რჩევაში წინადადებანი, სადაც მოხსენებულია, რომ ის შტოები, რომელნიც მმართველობის დაუხმარებლივ გაუყვანია საზოგადოებას, განთავისუფლებულნი იყვნენ ფოსტის მუქთად, და ჯარის (ბარგით) და ტყუასლების შემცირებულის ფასით გადაყვანისაგანა; აგრეთვე არავითარი სახელმწიფო გადასახალი არ დაეღება ამ გვარ შტოებს სარკინის-გზო პოლიციისა და ტენიკური ინსპექციის. შენახვისათვის.

== რაკი ტრანზიტის მოსისო, მოსალოდენლია, რომ „კონტრაბანდობა“ უფრო გავრცელდება. მაგრამ ამ სენის შესაფერხებლად ჭინანსთა სამინისტროს გამოუთხოვია ახალნი ლონის-ძიებანი მთავრობისაგან. იმის გარეშე, რომ სამინისტროს გადაუწყვეტია მოსამზღვრე კარაულთა რიცხვის მომატება, წელს ეს სამინისტრო გზავნის რამოდენიმე მოხელეს იღუმთად გადმოტანილ საქონელზე სათვალ-ყურად. მინც კონტრაბან-

ქნებენ ცხენებს, თითქო ფართო და შირა გზა ჰქონდეთ წინ.

მკრი საათის შემდეგ მათ მიალწიეს დიდს მოედანს, გაშლილს მალაღს ბორცვზედ. აქედგან მოსჩანან, როგორც ხელის გულზედ, ყველა სოფლები, რომელნიც მამა-ხანუმის მამის საფარველს ქვეშე არიან.

შოველგან ღრმა მყურბობაა, მხოლოდ იშვიათად მოისმის ტურების კივილი და ძაღლის ყეფა. მთავრე მოცურავს შარავენდელ ვარ-შემოკრული. მისი ნარჩარი სინათლე ფანტაზიურს სახეს აძლევს სხვა-და-სხვა საგნებს. მამშულ სიფრთხილით მივახლოვდით მამა-ხანუმის სახლს, ნელიად დაურეკა სარკმელი. სარკმელი გაიღო და იქიდან გამოჰყო თავი მშვენიერმა ქალმა. მართს წუთს მივარდა მამშულ, გამოიტაცა იგი, შეაზვია თბილის შალში და შესვა გადარეულს ცხენზედ. იგი ახლა თავის ძვირფასის საუნიჯით და მოგზაურებითურთ უფრო მკვირცხლად გაეჭნა შინისაგან. მათ, რასაკვირველია, გამოვლდნენ მღვეარ-

დის საქონელს აღმოაჩინეს, ჯილდოდ მიეცემა ფასი ამ საქონლისა.

== ღრმა ძალაქის ბამგეობამ ყურადღება მიაქციოს ქალაქის ერთს უმთავრესს ქუჩას, საშინლად გაფუჭებულს, თუ ცხენის-რკინის-გზის წყალობით, და თუ ღრმთა განმავლობის გამო. ჩვენ ვამბობთ, მინაილოვის ქუჩაზე. შოველს ნაბიჯზე ოღრო-ჩოღრობია ამ ქუჩაზე, რომელნიც აედარში კონჰყოთი და ტალახით იყვებიან და ქვევითებს თუ ჭაი-ტრანში მსხდომთა უნდა ემინოდესთ კისრის მოტებისა. არა ერთი და ორი ქვევითი და ცხენოსანი წაქეუულა ამ ქუჩაზე და უღრძვიათ რაიმე, არა ერთი ორი ჭაი-ტრანი გატეხილა და დაუძვრევია მგზავრები,—და ეს ყველაფერი სულ იმიტომ ხდება, რომ ბამგეობა თავს არ იშუბებს ამ დიდ სასიარულო ქუჩის შეკეთებით, მაშინ როდესაც ძველებისათვის არ იშურებს ას-ას თუმნობით ხარჯს.

== მსურვეთიდან გვეჩვენ: „აქაურს საქალბო პირველ-დაწყებითს სკოლას, რომელშიაც სამოციოდ მოწაფე სწავლობს და სამი განყოფილება ითვლება, მხოლოდ ერთი მასწავლებელი ქალი ჰყავს, და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გასწავლეს ერთი აღამიანი ამდენ სულის სწავლებას, მით უფრო, რომ პირველ-დაწყებითი სწავლება საშუალო და უმაღლეს სწავლებაზე უფრო ძნელია. ეს ცხადია ყველასათვის, ვინც გაგონებით მაინც იცნობს პედაგოგიას, მაგრამ ამ სკოლის კომიტეტს კი არ სურს დაერწმუნოს ამ ცხადს ჰეშმარიტებას და არ ჰქირავობს სასწავლებელისათვის მეორე ოსტატს, თუმცა აღკლობრივი საზოგადოების აზრი ერთხმად მთხოვენლია ამისი“.

== ჩვენ გვთხოვენ გზეოში დაბე-

ნი. მამა-ხანუმის მშობლებმა შესძირეს მთელი სოფელი, ყველა მონათესავენი და ნაცნობნი სასიძოს შურის საგებლად ამ გვარის წყენისა და გაუბატოურებისათვის. მაგრამ ყოველ ამას საჩვენებლად სჩადიან, რადგან აფხაზეთში არაოდეს არა ჰსდევნიან მტაცებელს. სასიძოს მოპარვისათვის, თუ იგი კარგი სამოყვროა და მეტადრე უფრო, თუ იგი მოახერხებს თავის საცოლოს მშობლებისა და მონათესავეთა შესაფერად დაჯილდოვებას.

რა რომ მიახლოვდებიან სასიძოს სახლსა, მზღებელი ცხენოსანი წინდა წინ აცნობებენ გამარჯვებას თავიანთ სოფელს, რომელიც თოფების სროლით და შეკრებილი მიეგებება სასიძოსა და სარძლოს. აქ არიან ძიბა მამა-ხანუმისა და ყოველნი, რომელნიც ეწეოდნენ შეერთებას სასიძოსა და სარძლოსას.

ძიბა და მონათესავენი მისინ, ლოცულობენ, რომ შურით არაფერს მოშალოას სასიძო. ეს მოშლა, მათის აზრით,

ბეჭდა შეიძვევი წყაროა; მტაცებელი მე მუხჯა ცოლი შეიძვევი ვაფრეყოფე ვაფრეყოფე, რომლისაგან გვერც ერთმა ექიმმა ვერ მოახჩინა. მთელა ოთხსა წყადაფი იყო ავადმოფოფი, ძღაერ შევიწროებულა და შარშან შემოდგომაზე სრულად მოახჩა მღვედელის მიხეილ ჰათაჩიძის წყალობით, რომელმაც ერთი თვე უაქმა. ეს ხემა ცოლის აქიმი განსახასთ ს. სრკითს შარშანის მასჩა. მე, მასაგვიკველას, ხემა სიღბრებით ვეგრც ვასამოკენე და ვეგრც მიგვეცა სექქიმა და გონსკო უმეჩნილეუსად, რომ თქვენი გზეოთის, „დრეკების“ შემწვობით მაინც გარდა მასდვენათ დიდი და დაუფესებელი მღვედობა ამ ექიმის მღვედლისათვის.

თქვენი პაციენტი-ცემის მხურველი საღაგან ჭიჭინაქე“.

მხოვნა აფუსრულებთ ბ.ნ.ს. და დაეუბეცლეთ წერილი, მაგრამ მასში მოთხრობილი ამბების სინამდვილენე, მკითხველნი, პასუხის გებას-კი ვერ ეკისრულობთ, მს მოვალეობა მთლად დაგვითმია ბ. ს. შიჭინაძისათვის..

== გაზეთის „ნავ. ობოზ.“ ატყობინებენ, რომ სამუსიკო საზოგადოების განყოფილებასთან დაახსებულნი სამაწაფო კლასები სამუსიკო სკოლაზედ უნდა გადააგვიანონ. ამ მოსახლად-ნელს სკოლას მინიჭებულა ექნება საშუალო სასწავლებელთა უფლება და გაჩნდა ამისა ხაზინის უნიჭებს ყოველი წლებით ნ-დან მათს მანათამდე სუხსიღმის მღვეკას.

== ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აბიჭებს, რომ ბაქოსაკენ მიმავალ საბარგო-სამოგზაურთა მატარებლების მაგიერ დაჩაშინოს სამოგზაურთა მატარებლები. („კავკასია“)

== ამ თვის 23-ს, სადამას მ საბათო, მქსუთე საბაზრო განყოფილებაში, ტალახის ქუჩისა და მისს გადა-

იმში მღგომარეობს, რომ აფხაზები სხვა-და-სხვა შელოცვებით, ტყვიითა და დანაკულის ხელსახოცებით მოუსაობენ სასიძოს შეუღლებობის ნიკსა. შელოცვა მაშინ იკიან, როდესაც სასიძო თავის სასიძოს საღვამის უახლოვდება.

შესაძლოა ეს არაფერს დაიჯეროს, მაგრამ მე თითონ დავესწარ სამს შემთხვევას, როდესაც მამაჩემთან მოვიდენ სასიძოს მშობლებნი და მსთხოვდენ მოსვენების ნებას სასწაულოთ-მოქმედის წმიდის ბიორგის ხატისას სოფლის ილორიდამ გარდასაცემად კაცის ამ გვარ მომშლილთა პირთა. ამ ხატისა ძლიერ ემინიანთ როგორც ქრისტიანებს, ისე მამაღიანებსაც. როდესაც მოახვენებდენ მას, შეშინებულნი ბრალეულნი გარდაცემადმდე დაასწრობდენ და ხელახლად გახსნიდენ შეკრულის სასიძოს, რომელსაც მიეცემოდა კვლად ნიკი მეუღლეობით ცხოვრებისა.

მე კარგად მახსოვს, როდესაც ერთმა სამურხაველოს სოფლის ბედის



სახეების გზა-ჯგაფიანზე რვა კაცი
თავს-დასხმია და გაუცარდა ერთი კა-
დაც მზიკაშია. ეს ავაზაკობა მომხ-
დაწნ თვალ-ნათელი და დურგლის
განაღებულის ქაჩხის წინ; თუმცა
ხანგრძლივი კინწლაობა გაიმართა თურ-
მე ავაზაკთა და მსხვერპლს შუა,
მაგრამ ერთი კაციც არ მიშველ-
ბია ქაჩხიდან. ეს კიდეც არაფერი;
მაგრამ რად უნდა ითქვას იმაზე, რომ
იქმ ბეჭდით დგანან ცალ-შვილით
იქაურ საზოგადოებო მოსტისავე ორი
ზოლიციელი და არც ერთმა მათგანმა
ეურა არ გაიბურტყა, არც ერთმა
მათგანმა თითაც არ გაანძრია თავის
მოკლეობას ასასრულებლად! („ნაკ-
ობა“.)

საჯგაგასოს სტანციიდან გასეთს
„ნაკობა“ სწორენ: სოფ. ნო-
ნაში, იანვრის 20-ს, გამსკადრი ღამ-
მისაგან გაჩენილი ცეცხლით დაიწვა ილა-
რის სასოფლო მასწავლებლის კამის ცო-
ლი. უბედური ქალი წვრილ-შვილის დედა
საშინელის ტანჯვებით მოკვდა რამდე-
ნიმე საათის შემდეგ.

ფერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! ამ წლის იანვრის
9-ს რამდენიმე მოძიებარნი და მოპა-
სუბე ვიყავით დაბარებულნი ქ. თბი-
ლისის მეოთხე განყოფილების მომ-
რიგებელი მოსამართლის კამერაში.
ამ რიცხვს მოსამართლე არ მოპო-
ბანებულა ავად-ყოფობის მიზეზით,
და მოსამართლის სეკრეტარმა საქმის
გარჩევა დაგვინიშნა იანვრის 15 სა-
თვოს. ბიანელით ამ ვადაზე. ჩვენ-
და სამწუხაროდ მოსამართლე ისევ
ავად ყოფილა, და ჩვენი საქმე
გადაიდვა იანვრის 23-სთვის. ბი-
ხელით ამ რიცხვსაც მოსამართლე
კიდევ არ მოჩინილა; სეკრეტარმა
რიგისამებრ ხელი მოგვაწერინა ქუ-

მცხოვრებმა ყმაწვილმა კაცმა შეირ-
თო ცოლი, რომელიც მტრობით
შეჭრეს და ამ ყმაწვილს კაცს ისე
შერცხვა, რომ ხანჯლით თავი მოიკ-
და.

რა რომ სარძლო დაუხლოვდება
სასიძოს სახლსა, პირბადეს გადაიხუ-
რავს, რომ არავინ დაინახოს.

ბოლოს ცხენები მხლებელთა შეს-
დგენ. ათასი ხელი სისწრაფით მიე-
მართება სასიძოს, სარძლოს და სტუმ-
რების ცხენებდამ გადმონაყვანად. სა-
სიძოს მშობელნი სიხარულით აღტა-
ცებულნი არიან, რადგან მათმა ვაჟმა
გაიმარჯვა და მოიტაცა სასიძო; მაგ-
რამ ჰსცილიობენ, რომ სიხარული
არავის გაუძღვანონ. იგინი მხოლოდ
სადღესასწაულო ტანისამოსს ჩაიკმენ
და მილოცვას სათანადო ყურადღე-
ბით მიიღებენ. იმკრეკლივ არის მზა-
დება ვანშისა, ანუ საღილისა; ამ
დღეს და შემდგომს დღეებში ჰყვლენ
ხარებს, ძროხებს, ცხვრებს, ყვერუ-
ლებს, პირუტყვის ხოცვას განიგრძობა

ნალში, რომ თებერვლის 7-ს გამოვ-
ცხადდეთ. და თუ არც თებერვლის
7 მოპობანდა მსაჯული, რასაკვირვე-
ლია საქმე გადაიდება კიდევ სხვა ვაღი-
სათვის.

ზეიკვირს დაგაკვირვებია! თუ ჩვე-
ნი საქმე ისეა დაყენებული, რომ უსა-
თუოდ ავადყოფმა მოსამართლემ უნ-
და გარჩიოს მაშინ, როცა ავადყოფ-
ფობისაგან განთავისუფლდება, სეკრე-
ტარი რად გვინიშნავს სხვა-და-სხვა ვა-
დას, როდესაც არავინ ვიცით, გარდა
მეუფისა, ავადყოფი მოსამართლე
როდის მოჩინება?

ერთი მოძიებარნი.

უცხოეთი

ინგლისი. უკანასკნელ აფეთქება-
თა განსაკუთრებით დიდი ზიანი მის-
ცეს ლონდონის გამოჩენილ თეთრს
კოშკს, რომელიც, როგორც ლეგენ-
და ამბობს, აშენებულია სწორედ იმ
ადგილას, საცა იულოუს ცეზარმა ავგო
პირველი სიმაგრე მდ. ტემზას ნაპირზე.
ბოროტ-მოკმედთ თვისის განზრა-
ხვის შესასრულებლად შაბათი დღე
აერჩიათ, როდესაც ხალხს ნება-დარ-
თული აქვს ამ კოშკში შესვლისა. აფე-
თქება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ
დაუტყვევია სამივე იატაკი სამის სართუ-
ლისა და აუგლეჯია მთელი სახურა-
ვი. კოშკის თოფ-ხანაში რაც იარა-
ღი იყო, სულ ერთიანად დაზიანებუ-
ლიაო. თექვსმეტი კაცი დაიჭრაო.
რასაკვირველია, მაშინვე ფოცხელი გა-
მოძიება შესდგა როგორც ტოტერში აგ-
რეთვე შესტმინსტერში მომხდარ აფეთ-
ქების გამო; მაგრამ საბუთი ვერა აღმოა-
ჩინესრა. დატუალდეს რამდენიმე კაცი,
მხოლოდ საბუთის უქონლობისა გა-
მო ვერა-ვითარ ბრალს ვერა სდებენ...
ამ განზირებულ აფეთქებათა გამო
ადვილად წარმოსადგენრა ის ადელდე-

იქამდის, ვიდრე ნათესავეები და ნაც-
ნობები ერთი მეორისადმი მიწვეე-
მოწვევას არ გაათავებენ.

სასიძოსათვის წინ და წინვე არის
განყოფილი სადგომი, სადაც შეეგე-
ბებიან მას და რომელსაც მიუჩინენ
ცოლ-ქმარს საუკუნო სამფლობელოდ.
ამ დროს არ სრულდება არავითარი
წესი არც ქრისტიანული და არც მაჰ-
მადიანული. სასიძო, როდესაც შევა
სასიძოს მშობლების სახლში, იმე-
დროიდგან ცოლია და სასიძო ქმარი.
ამ გვარს ქორწინებას, როგორც
მართლ-მადიდებლობის შემოღებამდე,
ისე ახლაც შეხედებით აფხაზეთში.

როდესაც მღვდელი მივა ცოლ-ქმარ-
თან, რომელიცა ჰსცხოვრებენ ერთად
უმეტეს რამდენიმე წლისა ბედნიერად
და მშვიდობიანად, და წინადადებას
მისცემს მათის კავშირის გამტკიცები-
სათვის ქრისტიანულის ქორწინების
საიდუმლოთი, მაშინ ვაიგონებ მათ-
გან ამ გვარს პასუხს:

ბა, რომელიც ლონდონის მცხოვ-
რებთა შორის სუფევს. მოველის
მხრით მოისმის პოლიციის კიცხვა.

ირლანდია. ძორკის საგრაფოში
(ირლანდია) აუარებელი შეკრებუ-
ლების წინაშე პარნელს წარმოუთ-
ქვამს სიტყვა, სადაც ეს შესანიშნავი
ირლანდიელი ავტორი ამტკიცებ-
და, რომ მას და მის შემწედ არა
სძინავთ. პარნელი დარწმუნებულია,
რომ 500,000 ახალი ამომჩვეველი
ირლანდიისა ერთგულს მსახურებას
გაუწევნ თაფიანთ ქვეყანას. „სულ
უმტორესი, რაც ჩვენ უნდა შევიტა-
ნოთ ჩვენს პროგრამაში—ეს ირლან-
დიის პარლამენტის დაფუძნებაა. ინგ-
ლისის კონსტიტუციის თანახმად ამა-
ზედ მეტს ჩვენ ვერას მოვიტხოვთ
ამ ქამად. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით,
რომ ქვეყანაზედ არავის ძალ-უძს შეა-
ფერხოს ირლანდიის წინ-სვლა. არავი-
სააქვს უფლება უთხრას ირლანდიას:—
შენ აქამდის უნდა მოხვიდე და ამას-
კი აღარ გადასცილდეო. შევლა ჩვენ-
განი უნდა სცილობდეს მტკიცე
რწმუნებით მოითხოვოს თვის სამშობ-
ლოსათვის ყოველივე, რისიც მოთ-
ხოვის უფლებაცა აქვს მას. მთელი ჩვე-
ნი ღონე უნდა დავსდოთ მასზედ,
რომ აწმყოს გამოველიჯოთ ის, რაც-
კი მოხერხდეს, რასაც-კი მოგვცემს. ნუ
შეგვყურებთ მომავალს—ეს მივანდოთ
მომავალ ჩამომავლებს, რომელიც ჩვენს
შემდეგ მოვა, და რომელმაც იქნება,
ჩვენ გვაჯობოს და ჩვენზე უმეტესი
თავისუფლება მოიხვეჭოს.“

ოსმალეთი. მაკედონიის ბოლგა
რიელებმა, რომელთა შევიწროებაზედ
ოსმალელებისაგან და ბერძენისაგან
ბევრს იწერებოდენ ამ უკანასკნელ
ხანებში სამწლეარ-გარეთელ ვაზეთებ-
ში, რამდენიმე მიტინგი გამართეს და
ადგილობრივ ოსმალეთის მთავრო-
ბათა წინააღმდეგ აღელვებდენ ხალხ-

— მაშაო! ჩვენ ავერ რაც წელი-
წალია კარგადა ვსცხოვრობთ და რა-
საკიროა დაქარწინება ჩვენი; ეკლესიუ-
რი ქორწინება მხოლოდ შეგვკრავს
ისე მტკიცედ და მაგრად, რომ შემდ-
გომ აღარ შეგვეძლება განშორება
ერთი ერთმანეთისაგან; ახლა-კი, თუ ვი-
სურვით, მადლობა ღმერთს, თვითოე-
ულს ჩვენგანს შეუძლია წავიდეს,
საითაც ენებება...

იმ ღამეს, როდესაც სასიძოს მოიყ-
ვანებენ, სასიძო უნდა წავიდეს სადმე
და გაატაროს პირველი ღამე და პირ-
ველი დღე თავის მეგობრებსა და ნაც-
ნობებში. მეორე ღამეს შეიყვანს მას
სასიძოს ოთახში ის, რომელმაც იმა-
ქანკლა მათ შორის და ვაარიგა საქ-
მე. ამ დრომდის სასიძოს გვერდით
უზის თავის მეგობარი, მისი ძიძის
ასული, რომლის მოვალეობაც არის
შეაქციოს სასიძო, ანუ ახადოს პირ-
ბადე იმ დროს, როდესაც მონათესა-
ვენი და ნაცნობნი შევლენ სასიძოს
სანახავად და იმის შეგნიერების გან-
საცდელად. ამ დროს თვითოეული

სა. ღღეს ეს მიტინგები მწვეულებ-
ლან ადგილობრივ მღვდელთა და
და რუსის ელჩის ბ. საროკინის ჩაგონე-
ბით. ბ. საროკინს დაურწმუნებია
აღელვებული ხალხი, რომ ამ გვა-
რის მოქმედებით უარესი უბედურება
დაატყდება ქვეყანას არა მარტო პო-
ლიტიკურისა და ადმინისტრაციულის
მხრივ არამედ აღმოსავლეთ რუმე-
ლიის ეკონომიური მდგომარეობა და
საზოგადო მშვიდობიანობაც დაირღვე-
ვაო.

ტელეგრამები

(„მრდილეკთის სააგენტოსი“)
იანვრის 23-ს

პეტროპოლისი. გამოცხადებულია
წესები სავაჭრო და სამრეწველო
ხდებ-მიცემებზე დამატებითი და სა-
წილადო გადასახადის გაწერისა.
დამატებითი გადასახადი დაედე-
ბათ: აქციონერ საზოგადოებათა,
წილობით დაფუძნებულ ამხანაგობა-
თა და კიდევ სხვა გვარ ამხანაგო-
ბათ. გადასახადი იქნება წმინდა
მოგებიდან 30% დანარჩენ ყოველ
გვარს ადებ-მიცემებზე გაწერილი
იქნება საწილადო გადასახადი და
ეს გაწერა ყოველს გუბერნიამი
ცალკე მოხდება სამ-სამი წლის
ვადით. გადასახადის გაწერისაგან
თავისუფალნი იქნებიან ის ქარხნე-
ბი, რომელნიც უკვე იხდიან აქ-
ციზის ბაჟს და შეადგენენ ადებ-
მიცემთა საკუთრებას. პირველს
სამს წელიში საწილადო გადასახადის
ჯამი ადრიცხელია 2,588,000
მანათი. გადასახადის მოკრებას
წრეელსვე შეედეგებიან.

ცალკე გადრება ზნაპისის ქვევი-
თი ბათალიონებისას დაერქმევათ
ადგილობრივი კომანდები, და
ცალკე გადრები კი მოისპობიან.
დარჩენილ ხელ-უბლებელ „ზა

მათგანი მოვალეა სასიძოს თავს ფუ-
ლი გადაადოს; ყველაზედ უწინ მოე-
ლენ სასიძოს მშობელნი და მათი
წოდების შესაფერ ფეშქაშს მიართმე-
ვენ.

თვითოეულის მნახველის შემოსე-
ლის დროს სარძლო უნდა ფეხზედ წა-
მოდგეს და ყოველს მოკითხვებზედ,
თვალები ძირს დახაროს და მუნჯური
ნიშნით უპასუხოს; თუ ვინმემ რთული
რამ ჰკითხა, მაშინ სასიძოს მაგიერად
ძიძისწილი მიუგებს. ძიძასაც აგრეთ-
ვე ფეშქაშობენ: პირველს ვანმამზედ
ძიძას უფეშქაშებს ან სასიძო და ანუ
მშობელნი მისნი ფულით ასი მანე-
თილამ ორას მანეთამდე მისთვის, რომ
მან ასე მშვენიერად აღზარდა თავის
გაზლილი.

კაწია მსჯავრანია.
(გაგრძელება შემდეგ)

პასათვის... დაინიშნებიან თითო კაპიტენ-არმეის და ცხრა-ცხრა სადღაბი.

გონკონი. საფრანგეთის გემთა კომანდირებს მიანიჭეს მეომარი მხრის უოველივე უფლება, სხვათა შორის ის, რომ დაათვალიერონ ნეიტრალური გემებიც, თუ საფრანგული იქნება, რომ მათ სამხედრო კონტრაბანდა გადააქვთ.

ლონდონი. უელსელი იწერება, რომ დალატის მეოხებით ცრუ-წინასწარმეტყველება აიღო ხართუმი და გორდონი ტყვედ წაიყვანაო. ხართუმი აღებულ იქმნა იანვრის ოც-და-ექვსს და როდესაც პოლკოვნიკი უილსონი, იანვრის 28-ს, გემით მიადგა ხართუმს, მთელი ქალაქი მტრისაგან იყო დაჭერილი. უილსონი დაბრუნდა მეტამხეხავენ, მაგრამ გზაზე გემი დაედუშა და თვითონ მხედრებით კენძელზე გავიდა. უილსონის გადასარჩენად გემი გაიგზავნა.

„დროების“ მოსტა. ბურჯოენელს. თქვენი ლექსი ადიაბეტება სხვა-და-სხვა დამბრკალე-ბელ მიხედვების გამო.

კნობანი. საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი პარმიშვილი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოხიარულად აღადგომთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამაზობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

მძიმები: არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. კორონა, სამშაბათობით და შაბათობით. გელიმ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით. ბაზიმი: ფილჩაქოვისა, სამშაბათობით. ბაზინოვის, ორშაბათობით, და პარასკევობით. სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით. ლოქოვისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზანდა. ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე 1885 წ. გამომცემარი ზურა რუკეთის ფუქილისა— 1 გორ. 5 გ. აჭარის ფუქილისა: პირველის ხარისხისა— 1 გ. 2 1/2 გ. მეორისა— 1 გ. 2 გ. იმავე ფუქილ. თორნიევი გამომცემარი: პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2 გ. მეორისა— 1 გ. 3 გ. მესამისა— 1 გ. 2 1/2 გ.

Table with 2 columns: Item name and Price. Items include შარკული ხარის. ლაგაში 1 გ. 4 1/2, მეორის ხარის. ლაგაში 1 გ. 3 1/2, მესამისა — — — 1 გ. 3 გ., ქრახის ხორცი: პირველის ხარისხისა— 1 გ. 8 გ., მეორისა — — — 1 გ. 7 გ., სუვი — — — 1 გ. 15 გ., ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 გ., ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა— 1 გ. 8 გ., მეორისა— — — 1 გ. 7 გ.

რკინის გზა. თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო საშურამდინ 6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სანქსარა 10 ს. 58 წ. დამ.) ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათს. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით. მარტო საშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით. ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შაბათობით სანქსარა 7 ს. 53 წ. დამ.)

განცხადებანი UN FRANÇAIS Professeur de langue et de littérature françaises desire donner des leçons. S'adresser: Librairie Boerstamm (10-1)

ინგლისის მადანია Maison de confiance შეადარეთ ჩვენი ჩაი მსკოვის ჩაის 1 გ. 10 გ. — 1—20 — 1—60 — 1—40 — 1—80 — 1—60 — 2 — „ — 1—80 — 2 — 50 საუკეთესო 2 — „ — 3 — „ იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკლამები, გრაფიკები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, გაღებები, ქაღალდი, მოკლადი, კაგაო, კანფეტები, მურაბები, მარცხენი, უნაგირები, კლეინგ-წინდები—კაცისა და ქალისა, სელ-სახო, ტუბი, მაკინტოშის გალენკორი—სულ უკეთესი 25-დამ 50 შროტენტი უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსმე მადანიაში. ვინც ქაღალტს გაკრდამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს ანაფურს ან იხდის. (100-63)

გამოვიდა და ისეილება ზღაპრული პოემა გ. წამათლისა ლექსი-პასკი მამოცემა ნობათია-ს რედაქციისა, მენაში და პეტერბურგში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. შასი ყველგან ხამი ხაზი. ისპილება: თბილისში—ნობათია-ს რედაქციაში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავერლოვის სააგენტოში და ქუთაისში—მმ. შილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გარეში—ს. მგალობლიშვილისას. თე. ლაგაში—იე. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოხე ნოთაძისას. მინც პირ-და-პირ ნობათია-ს რედაქციიდან ხოს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ელირება ათი შაური. (10-4)

რამაშა ბურჟუისა საუკეთესო საშუალება ხაქამოდე ცნობილ საშუალებათა შორის. შეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შროტინებს, პრუსაკებს, ბალონჯოებს, რწყილებს, ჯიანკველებს, ნამის ჭიებს და სხვ. იგი მოქმედობს უეცრად, არ შეიცავს არაერთარ კაცის ჯანისათვის მანებელს ნიეთიერებას. რომ არაინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშა ბურჟუის“ ყველა კოლოფზეა. ფასი კოლოფისა 75 კან. და 40 კან. ისეილება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში. შმთავრესი დეპო ამიერ—ბავკასიისათვის არის თბილისში „მავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ეაქრობისა და მის განყოფილებაში ბაქოს. II 19,485 (25-11)

საგლობესო პატენტის კალამები რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გვარი კალამები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მუხანი, ქაღალდი, კანკეტები, რეკლამები, ლაქი, კანხანაში, ბენალი, კალამები, ბუმბუნიკები, ზოტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკანტლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცანაშკები ჭურჭლის სანქმად (ბორცხა) თეთრეული-სათვის, პატარა ხაღები იატაკისათვის, კლიონკები, ტანტები, საგანძვლები, სარკები, სავარცხლები, ბუმბუნი, ზარები, ბინკალები რეკლამები, ვატკანასკები, მზის-სათები, გოჭასები, ტრემომეტრები, ბეწვები, ნუმსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომეხი, ქამრები, სარტულები, შრობები, საშრობები, კანხები, თილტრები, შნოტები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტისანი მაკინტოშები, კანკები, საქილა ქაღალდი ვატკანგლარეტიისათვის და სხვ. და სხვ. პატაშკი—20 კ. (100-33)

ინგლისის მადანია თმის-ამოღებანი მაკ-მასტერი ამაგრებს თმას და ადრინდელ აქვე ისეილება ქინის პომადო ფურს აძლევს, ფასი ერთი შუ-თმების გასამაგრებლად. ფასი 1 შის 2 მან., გავზავნი 2 მან. მან., სხოტები თავის ტვიკლის და 28 კან. ალასპობლად, ტუფეტის სანა-ნი, დუხები და სხვ. (100-89)